ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4782405

ნომერი: AR1716840

თარიღი : 05.11.2019

გაცემის თარიღი : 06.12.2019

გაცნობის თარიღი : 06.12.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სარაჯიშვილის გამზირი, ღვინის ქარხნის მოპირდაპირედ, (ნაკვეთი N20/69);

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა არევაძე პ/ნ 56001003302
- ქ. თბილისი, გურამიშვილის N66ა, პირველი სართული

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 12 ნოემბრის №4259020 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 05 ნოემბერს №AR1716840 განცხადებით მომართა მამუკა არევაძემ და მოითხოვა სამსახურის 2018 წლის 12 ნოემბრის

№4259020 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 12 ნოემბრის №4259020 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სარაჯიშვილის გამზირზე, ღვინის ქარხნის მოპირდაპირედ (ნაკვეთი 20/69) (ს/კ: №01.11.12.020.069) მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 12 ნოემბრიდან 2020 წლის 12 ნოემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 12 ნოემბრის №4259020 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, განმცხადებული ითხოვს საოფისე ფართობად 4505,32 კვ.მ-ის ნაცვლად 4505.33 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 550.00 კვ.მ-ის ნაცვლად 550.37 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1332.42კვ.მ-ის ნაცვლად 1332.22 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 30.24 კვ.მ-ის ნაცვლად 108.75კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 1724.36 კვ.მ-ის ნაცვლად 1705.62 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება უბრალოდ გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილებასთან ერთად იცვლება საერთო ფართობიც და იგი შეადგენს 10842,96 კვ.მ-ს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 12 ნოემბრის №4259020 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 12 ნოემბრის №4259020 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საოფისე ფართობად დაფიქსირდეს 4505.33 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 550.37 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1332.22 კვ.მ, დამხმარე ფართობად 108.75 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 1705.62 კვ.მ, საერთო ფართობად 10842,96 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 12 ნოემბრის №4259020 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2019 წლის 05 ნოემბრის №AR1716840 ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 12 ნოემბრის №4259020 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 12 ნოემბრის №4259020 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.